ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4393960

ნომერი: AR1660538

თარიღი : 11.02.2019

გაცემის თარიღი : 28.02.2019

გაცნობის თარიღი : 28.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ.ნინუა , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ტრიკოტაჟი , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გოდერძი გოდერძიშვილი პ/ნ 01012013612
- თბილისი ვაზისუბნის II"ა" მ/რ კორ. 27 ბ. 90

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3575577
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 4.10.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ბ-ბ-10/01183111023-17 (07/02/2019) ბრძანების შესაბამისად ობიექტი დასასრულებელია, კერძოდ:

- ფასადებზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერები. - საჭიროა კონდიციონერების მოწყობით არ დაირღვეს მიჯნა და აღნიშნულები შეიფუთოს ერთიანი იერსახის დეკორატიული ელემენტებით.
- ფასადი 1-5 +0.00 ნიშნულზე 4-5 ვიტრაჟებზე გაუქმებულია მოაჯირები. - საჭიროა მშენებლობის დასრულება შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.
- ფასადი გ-ა დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები - საჭიროა გამწოვი მილების მოწყობით არ დაირღვეს მიჯნა და აღნიშნულები შეიფუთოს ერთიანი იერსახის დეკორატიული ელემენტებით.
- ფასადი ა-გ დამატებით მოწყობილია სარეკლამო წარწერა. - საჭიროა წარმოადგინოთ სარეკლამო წარწერის პროცენტული წილის გაანგარიშება შესაბამის ფასადზე, გაითვალისწინეთ რომ რეკლამა არ უნდა აღემატებოდეს ფასადის საანგარიშო ზედაპირის 20%-ს.
- შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. - საჭიროა წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი პროექტი. აღნიშნულ ანაზომ პროექტში უნდა აისახოს ლიფტის შახტის და ყველა ღიობის მდებარეობა და გაბარიტული ზომები. დაცული იქნას მიჯნები.

ისევ არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.